


2017 წლის პირველი კვარტლის

საინფორმაციო ბიულეტენი



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION



პროგრამები და კონკურსები

ფონდის აქტივობები

- კომუნიკაცია სამეცნიერო საზოგადოებასთან
- სამეთვალყურეო საბჭო
- ექსპერტთა ბაზა

მეცნიერების  
ინტერნაციონალიზაცია და  
საერთაშორისო  
ურთიერთობები

[Rustaveli.org.ge](http://Rustaveli.org.ge)

## გამოცხადებული კონკურსები და პროგრამები

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“



მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლე.  
[იხ.კონკურსის პირობები >>>](#)

## ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი



კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მზარდაჭერის გზით კვლევების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, კვლევითი უნარ-ჩვევებისა და თემატური, ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია: ახალგაზრდა მეცნიერს, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც დოქტორის ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში. [იხ.კონკურსის პირობები >>>](#)

## დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა; წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა, მათი სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობით საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ზრდა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება; საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება, სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება. [იხ.კონკურსის პირობები >>>](#)





## გამოცხადდა მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტი დაფინანსების კონკურსი

კონკურსის მიზანია: მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.

[იხ.კონკურსის პირობები >>>](#)

## გამოცხადდა „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ კონკურსი

კონკურსის მიზანია ზოგადსაგან-მანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებისა და კვლევების დაახლოება, კვლევების ინტეგრირება სწავლის პროცესში; კვლევების პოპულარიზაციის გზით სკოლის მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით; მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა; მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად; მეცნიერთა, მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერთა (მაგისტრანტთა და დოქტორანტთა), ინტერესის გაზრდა სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის; სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას, დაეხმარება მოსწავლეს, გაიაზროს ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობა, რაც გაზრდის მის დაინტერესებას მეცნიერებისადმი.



[იხ.კონკურსის პირობები >>>](#)

**EaP Plus გრანტი საშუამავლო ღონისძიებებსა და მოსამზადებელ შეხვედრებში ქართველი მეცნიერების მონაწილეობისთვის**



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მონაწილეობს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის (Horizon 2020) ფარგლებში დაფინანსებულ საგრანტო პროექტის „EaP Plus“ შესრულებაში. პროექტის ერთ-ერთი ამოცანის ფარგლებში, გათვალისწინებულია საქართველოს მეცნიერთა მხარდაჭერა ევროკავშირის ქვეყნებში ე.წ. „საშუამავლო ღონისძიებებში“ და Horizon2020-სთვის განკუთვნილი საპროექტო განაცხადების მოსამზადებელ შეხვედრებში მონაწილეობის თვალსაზრისით.

გრანტი გაიცემა ორ რაუნდად. პირველ რაუნდში განიხილებიან კანდიდატები, რომლებიც 2017 წლის 17 სექტემბრამდე აპირებენ ღონისძიებაში მონაწილეობას. [იხ. კონკურსის პირობები >>>](#)

**გამოცხადდა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში**

კონკურსის მიზანია შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა (შემდგომში - ფონდი) და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს უკრაინაში (შემდგომში - მტცუ) შორის შეთანხმებული შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან: ა) ბიოტექნოლოგიები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; ბ) ახალი მასალები და ნანოტექნოლოგიები; გ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

[იხ. კონკურსის პირობები >>>](#)



SCIENCE & TECHNOLOGY  
CENTER IN UKRAINE



## ფონდის აქტივობები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა



23-24 თებერვალს, საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოს რიგით IV სხდომა გაიმართა. სამეთვალყურეო საბჭო არის ფონდის კოლეგიალური ორგანო, რომელიც წელიწადში ორჯერ იკრიბება და მართვის მიზნით განიხილავს 6 თვის მანძილზე ფონდის მიერ გაწეულ საქმიანობას, სტრატეგიულ საკითხებსა და სამოქმედო გეგმას.

ფონდის თანამშრომლებმა საბჭოს წარუდგინეს: შემაჯამებელ ანგარიში - მიღწევები, გამოწვევები და პრობლემები; განხორციელებული ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ახალი სტრუქტურა, საგრანტო კონკურსების განახლებული პირობები, ახალ საგრანტო კონკურსები და პროგრამები (MG, SRNSF-DAAD და SRNSF-VW ერთობლივი საგრანტო კონკურსები), 2017 წლის კონკურსები და ბიუჯეტი.

## საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან



10 თებერვალს 16:00 საათზე ფონდის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2016 წლის კონკურსში გამარჯვებულთათვის საკონსულტაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მოსულ საზოგადოებას განემარტა საგრანტო კონკურსების შედეგად დაფინანსებული პროექტების მართვის საკითხები.

## ფონდში გაიმართა 5 საკონსულტაციო შეხვედრა

### GMUS - მეცნიერების მენეჯმენტის ერთიანი განახლებული სისტემა

მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი „გრანტების მართვის ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის“ შექმნაზე. ერთიანი ბაზა მნიშვნელოვანია ფონდის მისიის, მიზნებისა და ამოცანების ეფექტურად განსახორციელებლად.

ერთიანი ბაზის ამუშავება იგეგმება 2018 წლიდან, რაც დახვეწს და სრულყოფს პროექტების რეგისტრაციის, შეფასებისა და გრანტების ადმინისტრირების პროცესს. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდება ფონდის მიერ ადმინისტრირებული პროგრამების ეფექტიანობის სისტემური შეფასება და საჭიროებათა ანალიზი, რომლის საფუძველზე მოხდება არსებული პროგრამების გადახედვა, მოდიფიცირება და განახლება.

სისტემა იქნება მოქნილი ინსტრუმენტი ფონდისა და სამეცნიერო საზოგადოების ინტერაქციისთვის.





## მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები

### საქართველოს შემსწავლელი პროგრამის პირველი კონფერენცია ოქსფორდში

7 თებერვალს, ოქსფორდში გაიმართა საქართველოს შემსწავლელი პროგრამის პირველი კონფერენცია. ოქსფორდის უნივერსიტეტის ქვეყანათმცოდნეობის ინტერდისციპლინურ სკოლაში 2015 წლის 23 ოქტომბერს დაარსდა საქართველოს შემსწავლელი კვლევების პროგრამა, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში. ოქსფორდის უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის შეთანხმების საფუძველზეც საქართველოდან ყოველწლიურად 3 მკვლევარი დაფინანსდება.





## მარია მაკაროვას შეხვედრა საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებასთან



ევროკომისიის მიერ დანერგილი ინსტიტუციური განვითარების ინსტრუმენტის მხარდაჭერით, ფონდს ეწვია ფინეთის ბიოცენტრის დირექტორი, ფინეთის აკადემიის, ფინეთის კვლევის საბჭოს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი მარია მაკაროვი. ვიზიტის ფარგლებში, პროფ. მაკაროვი გაეცნო მეცნიერების სფეროში საქართველოში არსებულ ვითარებას, ფონდის პროგრამებისა და საგრანტო კონკურსების ადმინისტრირებას და რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარი საექსპერტო მისიის შედეგად, მოამზადებს რეკომენდაციებს მეცნიერების მართვის გაუმჯობესებისათვის.

არსებული კვლევითი-სამეცნიერო გარემოსა და პოტენციალის უკეთ გაცნობის მიზნით, 11 იანვარს ფონდში ჩატარდა საინფორმაციო - გაცნობითი შეხვედრა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით.

## სამუშაო შეხვედრა ამერიკის საელჩოს წარმომადგენლებთან

16 თებერვალს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი და ფონდის თანამშრომლები შეხვდნენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებს. ფონდი საელჩოსთან ერთად გეგმავს კონფერენციის ორგანიზებას საქართველოში კვლევისა და ინოვაციების პოპულარიზაციისთვის. 23 აპრილს დაგეგმილი ღონისძიებაზე მოწვეული საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები განიხილავენ საქართველოს კვლევისა და ინოვაციების ეკოსისტემაში არსებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს და, ასევე, იმსჯელებენ საქართველოს მეცნიერების განვითარების სტრატეგიაზე.



### სამუშაო შეხვედრა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან

10 მარტს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა შეხვედრა საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ჯი იან ჩი, ატაშე ლიუ იტონგი და ფონდის ადმინისტრაცია, რომლებმაც განიხილეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდებს შორის სამომავლო თანამშრომლობა. აპრილში დაიგეგმა ოფიციალური შეხვედრა ჩინეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფონდის წარმომადგენლებთან.



საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, ალექსიძის №1, III სართ

[info@rustaveli.org.ge](mailto:info@rustaveli.org.ge)

ტელ. 2 200 220